

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო  
კომისიის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

(საანაგრიშო პერიოდი მოიცავს 2021 წლის დეკემბრიდან დღემდე  
საქმიანობას)

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო  
კომისია მუშაობას ახორციელებს ადგილობრივი თვითმართვლობის  
კოდექსისა და საბიუჯეტო კოდექსის მიხედვით, აგრეთვე  
ხელმძღვანელობს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
რეგლამენტითა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დებულებით.

კომისიის თავმჯდომარე - პავლე კიკალიშვილი

კომისიის წევრები არიან:

1. პაატა გოგოლაძე
2. ოთარ ლურსმანაშვილი
3. ეკატერინე შველიძე
4. ამირან ოქრომჭედლიძე
5. ლენა აბაშიძე
6. შმაგი ხიჯაკაძე
7. თორნიკე ავალიშვილი
8. კობა გოგსაძე
9. ომარ გაგოშიძე
10. კონსტანტინე ბერაძე
11. ნონა ზურაბიანი

საანაგრიშო პერიოდში სულ ჩატარდა ( 9 ) სხდომა, როგორც რიგგარეშე  
ასევე მორიგი სხდომები.

კომისიამ კანონით დადგენილ ვადებში უზრუნველყო  
მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტზე მუშაობა.  
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ თვითმართველი ერთეულის  
ბიუჯეტის პროექტის განხილვის მიზნით შეხვედრები მოვაწყვეთ

საკრებულოს კომისიებთან და შეხვედრების ანალიზის შემდგომ უმრავლესობისა და უმცირესობის მონაწილეობით შევიმუშავეთ საბიუჯეტო შენიშვნები და კანონით დადგენილ ვადებში გადავუგზავნეთ მუნიციპალიტეტის მერიას.

მუნიციპალიტეტის მერიამ განიხილა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმართველი ერთეულის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტზე საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ გამოთქმული შენიშვნები სულ (12+1) და მოახდინა სათანადო რეაგირება, რომელიც აისახა დამტკიცებულ ბიუჯეტში. (თან ახლავს პასუხები შენიშვნებზე).

მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის ხარჯები გაიზარდა 10 81 200 ათასი ლარით. აქედან გამომდინარე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის გადასახადების მოცულობა გაიზარდა 10 81 200 ათასი ლარით და განისაზღვრება 11 797 000 ლარით.

საფინანსო -საბიუჯეტო კომისია გეგმიურად და ბიუროს დავალებით განიხილავს ყველა იმ საფინანსო -სამართლებრივ აქტის პროექტს, რომელიც საკრებულოშია ინცირებული.

კომისიამ თვის სხდომებზე სულ საანგარიში პერიოდში განიხილა 7 საბიუჯეტო ცვლილება, რაც გამოწვეული იყო მთავრობის განკარგულების საფუძველზე მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული და სოციალური პროგრამების მაღალ და ხარისხიან დონეზე განსახორციელებლად. კერძოდ:

1. 11.01.2022 მთავრობის სხვადასხვა განკარგულებით სახ. ბიუჯეტის სახსრების ნაშთიდან გასანაწილებლად მომართოს 1386 543 ლარი.

სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ და სტიქიის პრევენციისთვის. გზების მიმდინარე შეკეთებისთვის. წყლის სისტემების რეაბილიტაციისთვის. ხიდებისა და ბოგირების რეაბილიტაციისთვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გადასახადები 11 797 00 ლარი იზრდება 1386 543 ლარით და განისაზღვრება 13 183 543 ლარით.

2. 01.02.2022 ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმართვლი ერთეულის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 სლის 16 დეკემბრის N24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხარაგაულის მუნიციპალიტეტს გამოეყო 750 000 ლარი სტიქიის შედეგად დაზიანებული სოფელ კიცხი-ხიდარის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაციისათვის.

მთავრობის 2022 ლის 17 იანვრის N75 განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხარაგაულის მუნიციპალიტეტს გზების რეაბილიტაციისათვის გამოეყო 2 775 762 ლარის კაპიტალური ტრანსფერი.

საბოლოოდ, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე,

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის შემოსულობები 10 318 100 ლარი იზრდება 4 105 011 ლარით და განისაზღვრება 14 423 111 ლარით.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გადასახადები 13 183 543 ლარი იზრდება 4 190 227 განისაზღვრება 17 373 770 ლარით.

3. 01.03.2022 ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმართვლი ერთეულის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 დეკემბრის N24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 15.02.N27 განკარგულებით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საქართველოს რეგიონებში გასახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტებისათვის გამოიყო 890,0 ათასი ლარი.

საბოლოოდ, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის შემოსულობები 15 315 432 ლარი იზრდება 890 000 ლარით და განისაზღვრება 16 205 432 ლარით.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გადასახადები 18 355 677 ლარი იზრდება 936 723 ლარით და განისაზღვრება 19 292 400 ლარით.

4. საბიუჯეტო ცვლილება განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ 03.02.2022 .

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 02.02.N206 განკარგულებით 2020-2022 წლების ინტეგრირებული განვითარების ფარგლებში შერჩეულ პროექტებზე დასაფინანსებლად გამოიყო 892 321 ლარი: მათ შორის ხუნევის საბავშვო ბაღის რეაბულიტაციისათვის 612 978 კარი. დაბა ხარაგაულში მდებარე დევების ქანდაკებებისათვის და მიმდებარე სკვერის რეკონსტრუქციისათვის 279 343 ლარი. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის შემოსულობები იზრდება 892 321 ლარით და 14 432 11 ლარი ხდება 15 315 432 ლარი. გადასახადები 17 373 770 ლარი იზრდება 981 901 ლარით და განისაზღვრება 18 355 676 ლარით.

5. 15.04.2022 ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმართველი ერთეულის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 დეკემბრის N24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ მიროწმინდაში ეკლესიათან მისასვლელი გზის რეაბილიტაციისათვის გამოყოფილი 255 906 ლარის 2022 წლის ბიუჯეტის ასახვის თაობაზე.

საბოლოოდ, ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის შემოსულობები 16 205 432 ლარი იზრდება 255 906 ლარით საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერის ხარჯზე და განისაზღვრება 16 461 338 ლარით.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გადასახდელები 19 292 400 ლარი იზრდება 420 906 ლარით და განისაზღვრება 19 713 306 ლარით.

6. კომისიამ იმსჯელა 2022 წლის პირველი კვარტლის ბიუჯეტის პარამეტრების შესრულების შესახებ. პირველი კვარტლის შემოსულობები განისაზღვრა 2 997 400 ათასი ლარით, ხოლო ფაქტიურად მიღებულკია 2 503 800 ლარი გეგმა შესრულებულია 83,5%.

გადასახდელების ნაწილში განისაზღვრა პირველი კვარტლის ბიუჯეტი 4 882 900 ლარით.

ფაქტიურად გაწეულია 3 167 020 ათასი ლარი.

კომისიამ მსჯელობის შემდეგ გამოკვეთა ,რომ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე თანხის ათვისების სიმცირის მიზეზია დიდთოვლობა

და ცუდი ამინდები. მეტეოროლოგიური პირობების გაუმჯობესების შემდეგ დაიწყო აქტიური სამშენებლო - სარეაბილიტაციო სამუშაოები.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე კომისიის წევრების მიერ დაყენებული საკითხებიდან, რომელიც შეეხებოდა საჯარო სკოლების ტრანსპორტის მომსახურებასთან ერთად გადაჭრილიყო ნადაბური -უბისა - სარგვეში-ხარაგაული, ვანი-სხლითი-ხარაგაული-მოლითის მოსახლეობის ტრანსპორტით მომსახურების საკითხი.

ჩვენ განვიხილეთ და მოვამზადეთ დასკვნები დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ ნორმატიული აქტების პროექტებზე.

კომისიამ ყველა საბიუჯეტო ცვლილებას დაუჭირა მხარი რათა საკითხი გასულიყო საკრებულოს სხდომაზე. საბიუჯეტო ცვლილებები ძირითადად გამოწვეული იყო მუნიციპალიტეტებში რეგიონალური ფონდის ფარგლებში პროექტების დაფინანსებასთან საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ადგილობრივი თვითმართველობის ბიუჯეტში ასახვით.

კომისიამ განიხილა 2022 წელს რეგიონალური განვითარების პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი და საკრებულოს მიერ მოსაწონებელი საპროექტო წინადადებების ნუსხა , კომისიამ მხარი დაუჭირა მერიის მიერ წარმოდგენილ მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას.

კომისიის წევრები ერთხმად შეთანხმდნენ, რომ აუცილებელია პრიორიტეტების განსაზღვრა , სადაც დაცული უდა იქნეს

თანაბრობის პრინციპი. ყურადღება პირველ რიგში უნდა მიექცეს პრობლემის სიმწვავის ხარისხს.

კომისიამ მოისმინა ინფორმაცია ხარაგაულის მუნიციპალიტეტის აიპებში დამატებითი თანხების მოთხოვნაზე და სწორ და დასაბუთებულ განკარგვაზე. მკაცრად უნდა აღირიცხოს საწვავის ხარჯი. თუმცა საწვავის გაძვირებამ გამოიწვია თანხების დამატებითი მოთხოვნები, რა თქმა უნდა, დასაბუთებული და არგუმენტირებული.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ იმსჯელა „შესაბამისობის აუდიტის ანგარიშებზე“ განიხილა და განაზოგადა ჩამოთვლილი დარღვევები და მათი მინიმუმამდე დაყვანის შესაძლებლობები ჩვენს მუნიციპალიტეტში. აუდიტის ჯგუფის გაანალიზებული აქვს 15 მუნიციპალიტეტის მონაცემი.

ჩვენი კომისია აქტიურად თანამშრომლობს საკრებულოს თავმჯდომარესთან, ფრაქციებთან და საკრებულოს სხვა კომისიებთან. ჩავატარეთ რამდენჯერმე ერთობლივი სხდომები, რომლებიც საინტერესოდ წარიმართა.

საკრებულოს აპარატი სათანადოდ აგვარებს კომისიის ორგანიზაციულ-ტექნიკურ საკითხებს.

არასოდეს ჩაშლილა დაგეგმილი სხდომა ქვორუმის არ არსებობის გამო. კომისიის წევრებს წინასწარ ეგზავნებათ სხდომაზე განსახილველი საკითხების პროექტები.

ჩვენი კომისია დროულად რეაგირებს საკრებულოსა და საკრებულოს ბიუროს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ ინფორმაციის გაცნობის მიზნით იმსჯელა სარეზერვო ფონდის თანხების განკარგავზე და დადგინდა შემდეგი:

სულ სარეზერვო თანხის მოცულობა შეადგენს 93 500 ლარს. აქედან დახარჯულია 29 159 ლარი, დარჩენილია 64 841 ლარი.

თანხები გაიცა შემდეგი დანიშნულებით:

14 159 ლარი -სამკურნალო-საოპერაციო;

11 000 სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო;

4000 -ერთჯერადი ფინანსური დახმარებები.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია იმსჯელა და დაწვრილებით განიხილა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმართველი ერთეულის 2022 წლის ექვსი თვის ბიუჯეტის შესრულების პარამეტრები.

ექვსი თვის შემოსულობების გეგმა განისაზღვრა 8 218 569 ლარით. ფაქტიურად მუყნიციპალიტეტმა ექვს თვეში მიიღო 8 645 361 ლარი . გეგმა შესრულდა 105,2% .

გადასასხადების გეგმა შესრულდა 110,7% . ვერ შესრულდა სხვა შემოსავლების გეგმა 80,5% .

ჯარიმები და სანებართვო მოსაკრებელი

არაფინანსური აქტივების კლება შესრულდა 64,7% .

ექვსი თვეში 11 902 164 ლარიდან დაფინანსებულია 8 555 101 ლარი.

საანგარიშო პერიოდში კომისიას არ დაჭირვებია და არ მოუწვევია ექსპერტები და სპეციალისტები.



კომისიაში უმრავლესობათან ერთად კონსტრუქცილად მონაწილეობენ კომისიის ოპოზიციონერი წევრები. მათი ჩართულობა კომისიაში მიმდინარე მოვლენებში მნიშვნელოვანია.

კომისიის წევრებს, რა თქმა უნდა, გაგავაჩნია განსახვავებული პოზიციები, გვიწევს კამათი, მაგრამ არასოდეს გამხდარა კომისიის საქმიანობისას და გადაწყვეტილებების მიღებისას ხელისშემშლელი გარემოება.

კომისიის წევრები ვესწრებოდით მუნიციპალიტეტის სოფლებში გამართულ შეხვედრებს, სადაც მოსახლეობის გადაწყვეტილებით შეირჩა პრიორიტეტები და გადანაწილდა შესაბამისი დაფინანსებები სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში.

კომისია სამუშაო გეგმის შესაბამისად მიმდინარე წლის ბოლომდე კვლავ განახორციელებს სხვადასხვა აქტივობებს რათა უფრო მრავალმხრივი და ეფექტური გახდეს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მუშაობა.